უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

სამართლის სადოქტორო პროგრამა

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

დასკვნის წარდგენის თარიღი 22/11/2021

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: ნონა

გვარი: ზუბიტაშვილი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	200002120

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	სამართალი
2	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მერვე
4	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის დოქტორი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0421 სამართალი
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	60
9	განხორციელების ადგილი[5]	თბილისი, საქართველო ირინა ენუქიძის ქუჩა #3 (დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ.)
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტირებული აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #61, 30/03/2020;
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	10/04/2020

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	11/10/2021
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	12/04/2027

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. „უმაღლესი განათლების პედაგოგიკა და ფსიქოლოგია“ სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული 10 წყაროდან ორი არის ინგლისურენოვანი გამოცემა, რომელიც თარიღდება 2009 და 2010 წლებით, ხოლო ერთი არის ინგლისურენოვანი ინტერნეტ რესურსი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მითითებული საგნის ფარგლებში უცხოენოვანი მასალა გამრავალფეროვნებული ანდა ჩანაცვლებული უნდა იყოს მეტად უახლესი უცხოენოვანი პუბლიკაციებით, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფის მოძიებით, უხვადაა როგორც უფასო ინლაინ რესურსებში, ასევე ხელმისაწვდომია ელ.კომერციის პლატფორმებზე.

2. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე „ინფორმაცია სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ“ დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს, შემუშავებული იყოს უწყვეტი პროფესიული განვითარების სტრატეგია და თანმდევი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნება პერსონალის საჭიროებების კვლევას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობები ასახულია ამავე დოკუმენტის მე-4 დანართში, თუმცა საჭიროა არსებობდეს პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების სტრატეგიაც და განხორციელების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული დოკუმენტის #1-#2 დანართით გამოიკვეთა სურათი, რომ აკადემიური პერსონალის ერთი ნაწილის შემთხვევაში პროფესიული განვითარების უწყვეტობა საერთო სურათთან მიმართებით არ არის თანაფარდობაში, კერძოდ, რიგ შემთხვევაში არ არის დატვირთული ინტენსიური და ახალი აქტივობებით. მართალია აკადემიური პერსონალის ერთ ნაწილთან მიმართებით ფიქსირდება ინტენსიური უწყვეტი აქტივობა თუმცა რიგ შემთხვევაში შეიძლება ფიქსირდებოდეს მხოლოდ 1-3 აქტივობა და ისიც არა უახლესი - 2015 წლამდე ან ჩათვლით. ექსპერტთა ჯგუფი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უწყვეტი პროფესიული განვითარების მნიშვნელობა არ უნდა იქნეს დაკნინებული კადრების ცნობადობითა და საზოგადოდ დამკვიდრებული მოსაზრებით კონკრეტული პირების პროფესიულ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი უნდა უზრუნველყოფდეს არამხოლოდ უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობას, არამედ მუშაობდეს აკადემიური პერსონალის მხრიდან ამ შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენებისთვის, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პერსონალის მხრიდან არ ხდება გამოყენება, უზრუნველყოს ისეთი აკადემიური პერსონალით, რომელთა რეჟიმი და სამუშაო დატვირთულობა საშუალებას აძლევს მათ, იზრუნონ პროფესიულ განვითარებაზე უწყვეტად უნივერსიტეტის მონაწილეობით. აღნიშნულ პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება პერსონალის სამეცნიერო აქტივობის პერიოდულ შეფასებას. იგივე ტენდენცია დაფიქსირდა აკადემიური პერსონალის გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებთან და კვლევებთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი მნიშვნელოვნად მიიჩნევს აკადემიური პერსონალის ნაწილის გააქტიურებას ამ მიმართულებით. საერთო ჯამში, სადოქტორო პროგრამის მდგრადი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართ არსებობდეს მკაფიო სტრატეგია და კონკრეტული სამოქმედო გეგმა.

---

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

3. 5.2 სტანდარტთან მიმართებაში გარე შეფასებებზე რეაგირების მკაფიოდ ჩამოყალიბებული ინსტრუქცია/წესის შემუშავება და დანერგვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

უდს-ს მიერ წარმოდგენილია ანგარიში თანდართული მტკიცებულებებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და დამატებით გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს მიერ მიერ მოხდა რეკომენდაციების სრულად გათვალისწინება.

რჩევ(ებ)ი[8]

1. ექსპერტთა ჯგუფი მიუთითებს, რომ სამართლის სადოქტორო პროგრამის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, აღწერილობითი ნაწილი, სწავლებისა და შეფასების მეთოდები დოქტორანტებისათვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობები და სხვა) პროგრამაზე მიღების გამოცხადებამდე გონივრული ვადით ადრე დაინტერესებული პირებისათვის მარტივად აღქმადი ფორმით განთავსდეს უნივერსიტეტის საიტზე და იყოს ხელმისაწვდომი (ამჟამად, ხელმისაწვდომია სასწავლო გეგმა - მატრიცა http://www.gruni.edu.ge/menu_content/index/370).
2. უნივერსიტეტს გააჩნია „სამართლის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტების, ახალგაზრდა მეცნიერების სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვის და კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერის სტრატეგია“, ასევე „სამართლის სადოქტორო პროგრამის განვითარების სტრატეგია“. აღნიშნული დოკუმენტები ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან აქტივობებს, როგორიცაა მაგალითად: „სამეცნიერო კვლევების თანამედროვე შეფასების სისტემის შემუშავება/დანერგვა“, ახალგაზრდა მკვლევარების მიერ იმპაქტ-ფაქტორის მქონე და რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალებში კვლევის შედეგების გამოქვეყნების მასტიმულირებელი მიდგომების დანერგვა“, „ციტირების ინდექსების გაზრდა (google scholar- ის, scopus- ის, web of science-ის და ა.შ. მონაცემების მიხედვით).“ ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მსგავსი ტიპის დოკუმენტების ფარგლებში მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა დააიდენტიფიციროს და პროგრამის განვითარების სამოქმედო გეგმაში ასახოს ამ და მსგავსი ტიპის ამოცანების მისაღწევად აუცილებელი კონკრეტული აქტივობები/ღონისძიებები და მათი განხორციელების შესაბამისი ვადები.
3. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აკადემიური პერსონალის ნაწილის გააქტიურება ახალი სამეცნიერო სტატიებისა და კვლევების განხორციელების მიზნით, შესაძლებელია აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების ერთობლივი კვლევებისა და ერთობლივი სამეცნიერო

---

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

სტატიების შემუშავების პრაქტიკის დანერგვით. საერთო ჯამში, სადოქტორო პროგრამის მდგრადი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების და სამეცნიერო აქტივობის მიმართ არსებობდეს მკაფიო სტრატეგია და კონკრეტული სამოქმედო გეგმა.

4. აღნიშნულის გარდა, სასურველია ბიბლიოთეკის ფონდის გამრავალფეროვნება, როგორც ქართულენოვანი, ასევე უცხოენოვანი მასალით.

5. აღსანიშნავია, რომ გრსუ-ის სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის 2013 წლის 28 მაისის დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტს მიეცა რეკომენდაცია სასწავლო კურსის „სადოქტორო კვლევის მეთოდოლოგია და დისერტაციის არქიტექტონიკის“ სილაბუსში გაზრდილიყო სამეცნიერო კვლევების მეთოდების თემატიკა. მიმდინარე აკრედიტაციის ფარგლებში, აღნიშნული კურსის გარდა, რომელიც უშუალოდ კვლევის მეთოდოლოგიაზე ნაკლებად არის ფოკუსირებული, ასევე წარმოდგენილია სავალდებულო კურსი „სადოქტორო კვლევა“, რომელიც თავის მხრივ, ფართოდ და სიღრმისეულად მოიცავს კვლევის მეთოდების საკითხებს. „სადოქტორო კვლევის მეთოდოლოგია და დისერტაციის არქიტექტონიკის“ სასწავლო კურსის სახელწოდების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ „სადოქტორო კვლევის მეთოდოლოგია და დისერტაციის არქიტექტონიკის“ სილაბუსში სასწავლო კურსის სახელწოდებიდან ამოღებულ უნდა იყოს მითითება „კვლევის მეთოდოლოგია“, რადგანაც აღნიშნული კომპონენტი გათვალისწინებულია სხვა სასწავლო კურსში. აღნიშნულის გარდა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ სასწავლო კურსებში „სადოქტორო კვლევის მეთოდოლოგია და დისერტაციის არქიტექტონიკა“ და „სადოქტორო კვლევა“ სალექციო თემატიკები რიგ შემთხვევებში დაყოფილია და დუბლირებულია, მაგ. ერთგან ხვდებით „სადოქტორო ნაშრომის წყაროები და ბიბლიოგრაფია (სადოქტორო ნაშრომის წყაროების სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია, პირველადი და მეორეული წყაროების გამოყენება სადოქტორო ნაშრომში. სადოქტორო ნაშრომის ბიბლიოგრაფია და მისი დანიშნულება. სადოქტორო ნაშრომის ბიბლიოგრაფიის სტრუქტურება)“ ხოლო მეორეგან „საკვლევი წყაროების მოძიება და ანალიზი (საკვლევი წყაროები, პირველადი და მეორეული წყაროები, წყაროთა მოძიება ელექტრონულ ბაზებსა და ბიბლიოთეკებში, წყაროთა დამუშვებისა და ანალიზის წესი, კვლევის ენა და სტილისტიკა).“ ასევე, ერთ შემთხვევაში გვხვდება სალექციო თემა „კვლევის საჯარო წარდგენა (კვლევის საჯარო წარდგენის თავისებურებანი, საჯარო წარდგენისათვის აუცილებელი უნარები, კვლევის გაფორმება და ტექნიკური საშუალებების გამოყენება აკადემიური პრეზენტაციისას),“ ხოლო მეორე შემთხვევაში „სადოქტორო ნაშრომის საჯარო წარდგენის სტანდარტი და მოთხოვნები, (სადოქტორო ნაშრომის საჯარო წარდგენისთვის მომზადება, ვიზუალური მასალის გამართვა, პრეზენტაციის აწყობა)“ ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული და მსგავსი სალექციო თემები უმჯობესია არ იყოს დაყოფილი და ნაწილობრივ დუბლირებული ორ სხვადასხვა კურსში და ერთი კურსის ფარგლებში მოხდეს დოქტორანტებისთვის კვლევასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების სრულად გადაცემა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიში არ არის შეიცავს ინფორმაციას რჩევების გათვალისწინების შესახებ. დამატებით გამოთხოვილ ინფორმაციაზე დაყრდნობით (უდს-ს 04/11/2021, # 01-18/137

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების

წერილი) უდს-ს რჩევების ნაწილის გათვალისწინება მოხდა უშუალოდ აკრედიტაციის პროცესის მიმდინარეობისას, ხოლო მეორე ნაწილის გათვალისწინება მოხდა, რეკომენდაციების შესრულების შედეგად, თუმცა წარმოდგენილი/მითითებული არ არის შესრულების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[13]	2.3 სასწავლო კურსი
რეკომენდაცია I[14]	„უმაღლესი განათლების პედაგოგიკა და ფსიქოლოგია“ სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული 10 წყაროდან ორი არის ინგლისურენოვანი გამოცემა, რომელიც თარიღდება 2009 და 2010 წლებით, ხოლო ერთი არის ინგლისურენოვანი ინტერნეტ რესურსი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მითითებული საგნის ფარგლებში უცხოენოვანი მასალა გამრავალფეროვნებული ანდა ჩანაცვლებული უნდა იყოს მეტად უახლესი უცხოენოვანი პუბლიკაციებით, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფის მოძიებით, უხვადაა როგორც უფასო ინლაინ რესურსებში, ასევე ხელმისაწვდომია ელ.კომერციის პლატფორმებზე.
შეფასება	სასწავლო კურსის სილაბუსი განახლდა უახლესი უცხოენოვანი ლიტერატურით. რეკომენდაციის შესრულების სრულყოფილად შეფასებისათვის, მნიშვნელოვანია უსდ-ს წარმოედგინა ინფორმაცია, თუ რა ფორმით არის ხელმისაწვდომი განახლებული უცხოენოვანი ლიტერატურა სტუდენტებისთვის (შეძენილია/წარმოდგენილია მატერიალური სახით

პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ბიბლიოთეკაში თუ ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმით). ასევე მნიშვნელოვანია, რომ თავად ამ კურსის სილაბუსშივე იყოს მითითებული თუ რა ფორმით არის ხელმისაწვდომი განახლებული სასწავლო მასალა.
რჩევა[15]I	გრსუ-ის სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის 2013 წლის 28 მაისის დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტს მიეცა რეკომენდაცია სასწავლო კურსის „სადოქტორო კვლევის მეთოდოლოგია და დისერტაციის არქიტექტონიკის“ სილაბუსში გაზრდილიყო სამეცნიერო კვლევების მეთოდების თემატიკა. მიმდინარე აკრედიტაციის ფარგლებში, აღნიშნული კურსის გარდა, რომელიც უშუალოდ კვლევის მეთოდოლოგიაზე ნაკლებად არის ფოკუსირებული, ასევე წარმოდგენილია სავალდებულო კურსი „სადოქტორო კვლევა“, რომელიც თავის მხრივ, ფართოდ და სიღრმისეულად მოიცავს კვლევის მეთოდების საკითხებს. „სადოქტორო კვლევის მეთოდოლოგია და დისერტაციის არქიტექტონიკის“ სასწავლო კურსის სახელწოდების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ „სადოქტორო კვლევის მეთოდოლოგია და დისერტაციის არქიტექტონიკის“ სილაბუსში სასწავლო კურსის სახელწოდებიდან ამოღებულ უნდა იყოს მითითება „კვლევის მეთოდოლოგია“, რადგანაც აღნიშნული კომპონენტი გათვალისწინებულია სხვა სასწავლო კურსში. აღნიშნულის გარდა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ სასწავლო კურსებში „სადოქტორო კვლევის მეთოდოლოგია და დისერტაციის არქიტექტონიკა“ და „სადოქტორო კვლევა“ სალექციო თემატიკები რიგ შემთხვევებში დაყოფილია და დუბლირებულია, მაგ. ერთგან ხვდებით „სადოქტორო ნაშრომის წყაროები და ბიბლიოგრაფია (სადოქტორო ნაშრომის წყაროების სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია, პირველადი და მეორეული წყაროების გამოყენება სადოქტორო ნაშრომში. სადოქტორო ნაშრომის ბიბლიოგრაფია და მისი დანიშნულება. სადოქტორო ნაშრომის ბიბლიოგრაფიის სტრუქტურება)“ ხოლო მეორეგან „საკვლევი წყაროების მოძიება და ანალიზი (საკვლევი წყაროები, პირველადი და მეორეული წყაროები, წყაროთა მოძიება ელექტრონულ ბაზებსა და ბიბლიოთეკებში, წყაროთა

[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	დამუშვებისა და ანალიზის წესი, კვლევის ენა და სტილისტიკა).“ ასევე, ერთ შემთხვევაში გვხვდება სალექციო თემა „კვლევის საჯარო წარდგენა (კვლევის საჯარო წარდგენის თავისებურებანი, საჯარო წარდგენისათვის აუცილებელი უნარები, კვლევის გაფორმება და ტექნიკური საშუალებების გამოყენება აკადემიური პრეზენტაციისას),“ ხოლო მეორე შემთხვევაში „სადოქტორო ნაშრომის საჯარო წარდგენის სტანდარტი და მოთხოვნები, (სადოქტორო ნაშრომის საჯარო წარდგენისთვის მომზადება, ვიზუალური მასალის გამართვა, პრეზენტაციის აწყობა)“ ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული და მსგავსი სალექციო თემები უმჯობესია არ იყოს დაყოფილი და ნაწილობრივ დუბლირებული ორ სხვადასხვა კურსში და ერთი კურსის ფარგლებში მოხდეს დოქტორანტებისთვის კვლევასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების სრულად გადაცემა.
შეფასება	უსდ-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაცია არ იძლევა ინფორმაციას მითითებული რჩევის შესრულების თაობაზე.
მტკიცებულებ(ები)ა	• უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ანგარიში • „უმაღლესი განათლების პედაგოგიკა და ფსიქოლოგია“ სასწავლო კურსის სილაბუსი

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარება
რეკომენდაცია II[16]	უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე „ინფორმაცია სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ“

[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს, შემუშავებული იყოს უწყვეტი პროფესიული განვითარების სტრატეგია და თანმდევი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნება პერსონალის საჭიროებების კვლევას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობები ასახულია ამავე დოკუმენტის მე-4 დანართში, თუმცა საჭიროა არსებობდეს პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების სტრატეგიაც და განხორციელების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული დოკუმენტის #1-#2 დანართით გამოიკვეთა სურათი, რომ აკადემიური პერსონალის ერთი ნაწილის შემთხვევაში პროფესიული განვითარების უწყვეტობა საერთო სურათთან მიმართებით არ არის თანაფარდობაში, კერძოდ, რიგ შემთხვევაში არ არის დატვირთული ინტენსიური და ახალი აქტივობებით. მართალია აკადემიური პერსონალის ერთ ნაწილთან მიმართებით ფიქსირდება ინტენსიური უწყვეტი აქტივობა თუმცა რიგ შემთხვევაში შეიძლება ფიქსირდებოდეს მხოლოდ 1-3 აქტივობა და ისიც არა უახლესი - 2015 წლამდე ან ჩათვლით. ექსპერტთა ჯგუფი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უწყვეტი პროფესიული განვითარების მნიშვნელობა არ უნდა იქნეს დაკნინებული კადრების ცნობადობითა და საზოგადოდ დამკვიდრებული მოსაზრებით კონკრეტული პირების პროფესიულ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი უნდა უზრუნველყოფდეს არამხოლოდ უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობას, არამედ მუშაობდეს აკადემიური პერსონალის მხრიდან ამ შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენებისთვის, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პერსონალის მხრიდან არ ხდება გამოყენება, უზრუნველყოს ისეთი აკადემიური პერსონალით, რომელთა რეჟიმი და სამუშაო დატვირთულობა საშუალებას აძლევს მათ, იზრუნონ პროფესიულ განვითარებაზე უწყვეტად უნივერსიტეტის მონაწილეობით. აღნიშნულ პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება პერსონალის სამეცნიერო აქტივობის პერიოდულ შეფასებას. იგივე ტენდენცია დაფიქსირდა აკადემიური პერსონალის გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებთან და კვლევებთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი მნიშვნელოვნად მიიჩნევს აკადემიური პერსონალის ნაწილის გააქტიურებას ამ მიმართულებით. საერთო ჯამში, სადოქტორო პროგრამის მდგრადი

	განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართ არსებობდეს მკაფიო სტრატეგია და კონკრეტული სამოქმედო გეგმა.
შეფასება	• რეკომენდაციის შესრულების მიზნებისათვის უსდ-მ განახორციელა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება. შეფასების ანგარიშის მიხედვით 28 აკადემიური პერსონალიდან 27-მა დააკმაყოფილა მინიმალური მოთხოვნები. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი შედგება ჯამში 28 პირისგან. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ანგარიშით არ ჩანს ის პირი, რომელმაც არ დააკმაყოფილა მინიმალური სტანდარტი კვლავ ჩართულია თუ არა პროგრამის განხორციელებაში თუ მოხდა მისი ჩანაცვლება. საერთო ჯამში, უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში განხორციელებულია პერსონალის განახლება, რაც დასტურდება იმ გარემოებით, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში პერსონალის სამეცნიერო საქმიანობაზე მსჯელობისას დასახელებული პირების ნაწილი დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის მიხედვით პროგრამის პერსონალში აღარ ფიგურირებენ. • დადებითად უნდა შეფასდეს უნივერსიტეტის მხრიდან, აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის მაღალი მაჩვენებლის მქონე პერსონალის გამოვლენისა და წახალისების მიზნით, ნომინანტების დაჯილდოება, ასევე, 2021-2022 სასწავლო წლიდან, გამარჯვებული ლექტორების თანადაფინანსებით მივლინების უზრუნველყოფა ევროპის სხვადასხვა წამყვან უნივერსიტეტებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად. სასურველია უსდ-ს წარმოედგინა ინფორმაცია აღნიშნული აქტივობა შეეხო თუ არა უშუალოდ სადოქტორო პროგრამის აკადემიურ პერსონალს, რათა შესაძლებელი ყოფილიყო რეკომენდაციის ჭრილში ამ წამახალისებელი ღონისძიების შეფასება. • უსდ-ს მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე დაყრდნობით, აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგები

	გამოქვეყნდა 27 ჟურნალში, ასევე მომზადდა 16 მოხსენება და გამოიცა 11 მონოგრაფია/სახელმძღვანელო. სასურველია უსდ-ს ცალკე წარმოედგინა აღნიშნული პუბლიკაციების ნუსხა, რათა რეკომენდაციის კონტექსტში წარმოჩენილიყო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხრივ პასიური პერსონალის გააქტიურება. საერთო ჯამში, დამატებით გამოთხოვილი cv-ების საფუძველზე, უნდა ითქვას, რომ პერსონალის ნაწილთან მიმართებით კვლავ შეიმჩნევა განსაკუთრებით დადებითი ტენდენცია (მაგ. ჯორბენაძე ს., 2020-2021 წლებში გამოქვეყნებულია 6 სტატია და 1 სახელმძღვანელო; ტურავა პ., 4 სახელმძღავნელო; ძლიერიშვილი ზ., 1 სტატია 1 სახელმძღავნელო; ლიპარტია ნ., 1 სახელმძღვანელო, 1 სტატია; და სხვა.), ხოლო მცირე ნაწილში კვლავ სახეზეა პასიურობა. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ უსდ-ს მიერ გაგრძელდეს სამეცნიერო-კვლევით აქტიურობაზე დაკვირვება და გამოვლინილ საჭიროებებზე მორგებული ღონისძიებების განხორციელება. • უსდ-ს სამართლის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაზე დართულ სამოქმედო გეგმაში (2018-2025) მიზნებად დასახულია: სამეცნიერო კვლევით პროექტებში პერსონალის მონაწილეობის გააქტიურება, აკადემიური პერსონალის სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების დაგეგმვა-ანგარიშგებისა და პროდუქტიულობის შეფასების პროცესის ორგანიზაციული უზრუნველყოფა, დოქტორანტებისა და მეცნიერ-ხელმძღვანელების ერთობლივი სამეცნიერო კვლევების წახალისება, პროგრამებში ჩართული პერსონალისა და დოქტორანტების მიერ იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში კვლევის შედეგების გამოქვეყნების მასტიმულირებელი პრემირების სისტემის დანერგვა, ციტირების ინდექსების გაზრდა(google scholar-ის, scopus-ის, web of science-ის მონაცემების მიხედვით)ერთჯერადი წამახალისებელი სტიპენდიების დანიშვნის პრაქტიკის დანერგვა. ასევე აკადემიური პერსონალის განვითარების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია რეკომენდაციის მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანი აქტივობები, თუმცა არ

	არის მითითებული ინფორმაცია/მტკიცებულება ანგარიშის წარმოდგენის მომენტისათვის მითითებული აქტივობებიდან კონკრეტულად რა განხორციელდა. • აღსანიშნავია, რომ უსდ-ს მიერ პროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილია ფინანსური რესურსი სამეცნიერო პუბლიკაციების და პერსონალის ტრენინგების დასაფინანსებლად. საერთო ჯამში, რეკომენდაციის შესრულების ტენდენცია სახეზეა. მნიშვნელოვანია, რომ უსდ-მ გრძელვადიან პერიოდში გააგრძელოს სამოქმედო გეგმებში მითითებული მასტიმილურებელი/წამახალისებელი ღონისძიებების პრაქტიკაში განხორციელება.
რჩევა[17]II	1. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აკადემიური პერსონალის ნაწილის გააქტიურება ახალი სამეცნიერო სტატიებისა და კვლევების განხორციელების მიზნით, შესაძლებელია აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების ერთობლივი კვლევებისა და ერთობლივი სამეცნიერო სტატიების შემუშავების პრაქტიკის დანერგვით. საერთო ჯამში, სადოქტორო პროგრამის მდგრადი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების და სამეცნიერო აქტივობის მიმართ არსებობდეს მკაფიო სტრატეგია და კონკრეტული სამოქმედო გეგმა. 2. უნივერსიტეტს გააჩნია „სამართლის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტების, ახალგაზრდა მეცნიერების სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვის და კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერის სტრატეგია“, ასევე „სამართლის სადოქტორო პროგრამის განვითარების სტრატეგია“. აღნიშნული დოკუმენტები ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან აქტივობებს, როგორიცაა მაგალითად: „სამეცნიერო კვლევების თანამედროვე შეფასების სისტემის შემუშავება/დანერგვა“, ახალგაზრდა

[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	მკვლევარების მიერ იმპაქტ-ფაქტორის მქონე და რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალებში კვლევის შედეგების გამოქვეყნების მასტიმულირებელი მიდგომების დანერგვა“, „ციტირების ინდექსების გაზრდა (google scholar- ის, scopus- ის, web of science-ის და ა.შ. მონაცემების მიხედვით).“ ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მსგავსი ტიპის დოკუმენტების ფარგლებში მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა დააიდენტიფიციროს და პროგრამის განვითარების სამოქმედო გეგმაში ასახოს ამ და მსგავსი ტიპის ამოცანების მისაღწევად აუცილებელი კონკრეტული აქტივობები/ღონისძიებები და მათი განხორციელების შესაბამისი ვადები. 3. ბიბლიოთეკა განახლდეს მატერიალური ქართულ და უცხო ენოვანი ლიტერატურით.
შეფასება	1.დოქტორანტებისა და მეცნიერ-ხელმძღვანელების ერთობლივი კვლევების წახალისება უსდ-ს მიერ გაცხადებულია სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მიზნად. თუმცა, უსდ-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის ასახული ანგარიშის წარმოდგენის მომენტისათვის ამ მიმართულებით რა შედეგები არის სახეზე. 2. ციტირების ინდექსის გაზრდის წახალისებისათვის, სამართლის სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია მასტიმულირებელი პრემირების სისტემის დანერგვა. თუმცა არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია აღნიშნული სისტემა ანგარიშის წარმოდგენის მომენტისათვის არის თუ არა დანერგილი და მოჰყვა თუ არა დადებითი შედეგი. 3. საბიბლიოთეკო ფონდის განახლების თაობაზე ინფორმაცია საერთოდ არ არის წარმოდგენილი.
მტკიცებულებ(ები)ა	• აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ანგარიში; • პერსონალის cv • უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ანგარიში • უსდ-ს სამართლის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა/სამოქმედო გეგმა;

	• აკადემიური პერსონალის განვითარების სამოქმედო გეგმა
სტანდარტის დასახელება[18]	5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება[19]	5.2 გარე ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია I[20]	სტანდარტთან მიმართებაში გარე შეფასებებზე რეაგირების მკაფიოდ ჩამოყალიბებული ინსტრუქცია/წესის შემუშავება და დანერგვა.
შეფასება	რეკომენდაცია გათვალისწინებულია. უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტში განხორციელდა ცვლილება და აისახა პროგრამის გარე შეფასება, რომლის მიხედვითაც: საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების მექანიზმებზე რეაგირების პროცედურა მოიცავს: პროგრამის გარე შეფასების შედეგებს, პირველ ეტაპზე განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომიტეტები, რომლებიც, მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ამზადებენ პროგრამაში შესატანი ცვლილებების პროექტს თითოეული რეკომენდაციის/რჩევის მიხედვით. ამის შემდეგ, ცვლილებების პროექტი გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ექსპერტიზისთვის. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროექტს უბრუნებს სკოლას გადამუშავებისთვის. ხოლო დადებითი დასკვნის შემთხვევაში, სკოლის დეკანი პროექტს წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად. დასკვნით ეტაპზე, პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური კომიტეტი.
რჩევა[21]I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	გ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი

[18]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[19]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[20]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[21]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

თანდართული დოკუმენტაცია[22]

გ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი/25 გვ.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ანგარიში/4 გვ

პერსონალის cv/35 pdf ფაილი;

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ანგარიში / 11 გვ.

უსდ-ს სამართლის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა/სამოქმედო გეგმა/24 გვ.

პერსონალის პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმა/ 4გვ.

„უმაღლესი განათლების პედაგოგიკა და ფსიქოლოგია“ სასწავლო კურსის სილაბუსი/11 გვ.

ექსპერტის ხელმოწერა

[22]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა